კალკულაციის კუთხით, დინებისა და ნატანის გადატანა იყოფა ორ ტიპად 1D და 2D, დაფუძნებულია მათ ფიზიკური მოძრაობაზე და შესაბამისად მათ მათემატიკურ რეპლიკაციებზე. მათ შორის სხვაობას წარმოადგენს მოძრაობის ვექტორი, 1D-ს შემთხვევაში დინება მხოლოდ 1 მიმართულებით გადაადგილდება, ხოლო 2D-ს შემთხვევაში იგი გადაადგილდება X და Y მიმართულებებით ერთდროულად, ასე რომ 2D-ს შემთხვევაში ფორმულების სირთულე ასევე მათი კომპიუტერული გამოთვლის დრო მნიშვნელოვნად იზრდება (Gómez & Martínez-Gomariz, 2015; Leandro et al., 2009). ბოლო პერიოდში დაიწყო ე.წ. შეჯვარებული მოდელების გამოყენება 1D/2D მოდელები,

რა დროსაც 1D მოდელი გამოიყენება წყლის დინებისათვის არხებში და მილებში ხოლო 2D მოდელი გამოიყენება ზედაპირული დინების აღსაწერად, ძირითადად ორივე მათგანი სენტ-ვენანის 1D და 2D გამარტივებულ განტოლებებს ეფუძნება. ამ ტიპის მოდელებს ბევრად ზუსტი და გამოყენებადი მონაცემების მოცემა შეუძლია, დღეისათვის მათი გამოყენება ლიმიტირებულია ძვირი და რთული კომპიუტერული სისტემების გამოყენების აუცილებლობით, თუმცა კომპიუტერული და გამოთვლითი ინდუსტრიის სულ უფრო და უფრო სწრაფი ზრდა საშუალებას მოგვცემს მათი გამოყენება მოხდეს შედარებით დაბალი კომპიუტერული რესურსების დანახარჯით (Fraga et al., 2015; Vacondio et al., 2014).

ყველა ტიპის მოდელებს აქვს სუსტი წერტილები, რომლებიც შესაძლებელია იყოს შემავალი პარამეტრები, მოდელის სტრუქტურა და გამოთვლების შეცდომა, მათ შეიძლება გავლენა იქონიონ საბოლოო მონაცემებზე, იმის გასარკვევად თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს შემავალმა პარამეტრებმა საბოლოო მონაცემებზე, მოდელების მგრძობელობის ანალიზი გამოიყენება რა დროსაც რეალური აუზის ჩვენებები ედრება მოდელით მიღებულ მაჩვენებლებს. ჩვენს შემთხვევაში 3 პარამეტრის შემოწმება მოხდა, ჩამონადენის ჰიდროგრაფის, პიკური ხარჯის და ჯამური მოცულობა. ჰიდროგრაფების შესადარებლად ნაშ-სეტკლიფის ინდექსი (NSE) გამოიყენება, იგი გავრცელებული მიდგომაა რეალური და მოდელირებული მონაცემების შესადარებლად. ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$NSE = 1 - \frac{\sum_1^n (Q_i - Q_i^*)^2}{\sum_1^n (Q_i - Q_m^*)^2} \quad (2.1)$$

სადაც n ექსპერიმენტული რეზულტატების ნომერია, Q_i^* და Q_i ხარჯის i -ური გაზომვის და მოდელირების მონაცემია და Q_m^* არის საშუალო ხარჯი. ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს $-\infty$ -დან 1-მდე, რა დროსაც 1 მნიშვნელობა მიუთითებს იდეალურ შესაბამისობას, 0-დან 1-მდე მნიშვნელობა მიიჩნევა მოდელირების მისაღებს შესაბამისობას, ხოლო 0-ზე ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს მოდელის მიუღებლობას რეალურ გაზომვებთან. ნეშ-სეტკლიფის ინდექსის გამოყენება მოდელირების

შესაფასებლად მიღებული პრაქტიკაა და მრავალი მაგალითი გვაქვს ურბანული ჩამონადენის მოდელებში მისი გამოყენებისა (Fraga et al., 2009; Manning et al., 2011).

2.2. SWMM მოდელის აღწერა

ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA) მიერ 1971 წელს შეიქმნა ურბანული წყლების მენეჯმენტის მოდელი სვიმ (SWMM) და იგი ერთ ერთი პირველი მოდელი იყო ამ დარგში. დროთა განმავლობაში ხდებოდა მისი სრულყოფა და ახალი მოდულების დამატება, ბოლო მე-5 ვერსია დაწერილია C++ დაპროგრამების ენაზე და ვრცელდება უფასოდ ღია კოდის ლიცენზიით. მოდელს შეუძლია თითქმის ყველა პროცესის რეპლიკაცია რომლებიც შედის აუზის ჰიდროლოგიურ ციკლში, რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით (Rossman & Huber, 2016b).

სვიმი წარმოადგენს ნალექები-ზედაპირული დინების დინამიურ სიმულაციურ მოდელს ძირითადად ურბანული არეებისათვის. მოდელის მთავარი შემავალი კომპონენტი არის ნალექი და მას შეუძლია დამაბინძურებლების ტრანსპორტირების სიმულაცია როგორც ზედაპირული დინებისას ასევე მიწების სისტემაში, იგი ითვალისწინებს ევაპორტრანსპირაციას და წყლის გაცვლას მიწისზედა და მიწისქვეშა სისტემებს შორის. მოდელის ყველა პარამეტრი წარმოადგენს დროისა და სივრცის ფუნქციას.


მოდელის გამოყენება შესაძლებელია სისტემების დიზაინისთვის, ურბანული დაგეგმარებისათვის და ასევე ოპერატიული მიზნებისათვის. დაგეგმარებისათვის მოდელი საშუალებას გვაძლევს თვეების და წლების ან უწყვეტი სიმულაციის წარმოებისა, რაც განპირობებულია შედარებით იოლი მათემატიკური სირთულით.

დიზაინის კუთხით მოდელი საშუალებას გვაძლევს სპეციფიური ამოცანების გადაჭრის გზებს, სადაც შესაძლებელია თითოეული ცალკე აღებული წვიმის მოვლენის ანალიზი, სადაც მიღწეულია ფიზიკური პროცესების მაქსიმალური რეპლიკაცია, ჩამონადენის და დამაბინძურებლების ტრანსპორტირების სრული ციკლის ასახვა ზედაპირული დინებიდან ჩაღვრის წერტილამდე და იგი გამოიყენება ჰიდროგრაფებისა და პოლუტოგრაფების განსაზღვრისათვის, ასევე ხარჯისა და დამაბინძურებლების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის სისტემის ნებისმიერ წერტილში და საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ნებისმიერი ტიპის დიზაინის ზემოქმედება ნებისმიერ

შერჩეულ კომპონენტებზე. იგი ძირითადად გამოიყენება ურბანულ აუზებში შეტბორვებისა და დამაბინძურებლებთან ბრძოლისათვის, ასევე სხვადასხვა მეთოდების შესაფასებლად. ამ ტიპის სიმულაციის დრო ძირითადად წუთებით და საათებით განისაზღვრება.

სვიმის გამოყენება ასევე შესაძლებელია როგორც ოპერატიული მოდელი რა დროსაც მოდელში ხდება რეალურ დროში მონაცემების შეტანა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. ამ დროს მოდელი იღებს მონაცემებს მეტეო სადგურიდან და მოკლე დროში გვაძლევს სწრაფ ჰიდროლოგიურ პროგნოზს. ჩვენი კვლევის შემთხვევაში დიზაინის მოდელია გამოყენებული და ყოველი წვიმის მოვლენა ცალკე არის გაანალიზებული და შეფასებული.

ზედაპირული დინების დაწყება დაკავშირებულია ნიადაგის გაჯერებასთან და მის ინფილტრაციულ შესაძლებლობებზე, როდესაც ინფილტრაცია მიაღწევს თავის მაქსიმუმ ამ დროს იწყება ზედაპირული დინება. აუზის საწყისი კონდიციები ფასდება სისტემის ყოველი ელემენტი კონტურული (მოსაზღვრე) პირობებით.



ნახაზი 2. 1 - მოდელის საწყისი დიაგრამა.

მოდელში გამოყენებული ყველა ჰიდროლოგიური პროცესი აღწერილია მოდელის სახელმძღვანელოში (Rossman & Huber, 2016a) და მასში მიმდინარე პროცესები შეიძლება დახასიათდეს როგორც:

- დროში ცვალებადი ნალექი

- ზედაპირული წყლის აორთქლება
- თოვლის დაგროვება და დნობა
- ნალექის შეკავება დაყოვნების ავზიდან
- ნალექის შეღწევა ნიადაგის ფენებში
- ინფილტრირებული წყლის შეღწევა მიწისქვეშა წყლებში
- მიწისქვეშა წყლებსა და სადრენაჟე სისტემას შორის კავშირი
- ზედაპირული ჩამონადენის გააგნარიშება ერთეულ ფართობზე, მანიგის განტოლების ფუნქცია
- ნალექის/ჩამონადენის აღება და შეკავება სხვადასხვა ტიპის LID პრაქტიკით

პროცესები აღწერისა და კონცეპტუალიზაციისათვის სვიმში ყველა პროცესზე პასუხისმგებელია შესაბამისი მოდული. ხოლო მის მთავარ ობიექტებს წარმოადგენენ მეტეო სადგური (ნალექები), წყალშემკრები აუზი და წვიმა/ჩამონადენის პროცესი.

ნალექები პირველი შემავალი მოდულია მოდელში და იგი განისაზღვრება მომხმარებლის მიერ, როგორც ხანგრძლივობით ასევე აზომვის ტიპით. შესაძლებელი ინტენსივობის გამოყენება (მმ/სთ), მოცულობის (მმ), ან კუმულაციური მოცულობის (მმ) გამოყენება. ევაპორაცია წარმოადგენილია როგორც მუდმივი მნიშვნელობა აუზისათვის (მმ/დღე), რომელიც განისაზღვრება დღიური მაქსიმალურ და მინიმალურ ტემპერატურებს შორის სხვაობით ან საშუალო თვიური მაჩვენებლით.

აუზი (ქვეაუზები) წარმოადგენს ზედაპირის ძირეულ ელემენტს და განისაზღვრება მისი ფართობით, დახრილობით, წყალგაუმტარი ზედაპირის პროცენტული მაჩვენებლით, მანიგის კოეფიციენტით ორივე ტიპის ზედაპირისათვის (წყალგამტარი, წყალგაუმტარი), წყლის შეკავების მაჩვენებლით და ინფილტრაციის პარამეტრით. როდესაც ზედაპირზე იწყება ნალექების წარმოშობა ყველა ამ პროცესის გამოთვლები აქტიურდება.


აუზის ზედაპირის ყოველი ელემენტი წარმოადგენილია როგორც წყალშემკრები რეზერვუარი და ზედაპირული დინება იწყება მაშინ როდესაც რეზერვუარის წყლის

შეკავების უნარი მიაღწევს თავის მაქსიმუმს და იგი განისაზღვრება მანინგის ფორმულით.

$$Q = \frac{1}{n} AR^{(2/3)} S^{(1/2)} \quad (2.2)$$

სადაც: Q = ნაკადის სიჩქარე, n = ზედაპირის მქსიანობის კოეფიციენტი, A = კვეთის ფართობი, R = ჰიდრაულიკური რადიუსი და S = ქანობი.

ზედაპირული დინების კონცეპტი ნაჩვენებია ნახაზზე # 2. 2.



ნახაზი 2. 2 - ზედაპირული დინების კონცეპტი.

ინფილტრაცია გამოითვლება ჰორტონის, მწვანე-ამპლიტუდის და მრუდეების მეთოდებით, ჩვენს კვლევაში გამოყენებულია ჰორტონის მეთოდი.

ჰორტონის მეთოდი ეყრდნობა იმ იდეას, რომ ინფილტრაციის სიჩქარე ექსპონენტურად მცირდება საწყისი მაქსიმალური სიჩქარიდან გარკვეულ მინიმალურ სიჩქარემდე. საწყისი პარამეტრები მოიცავს ინფილტრაციის მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებელს, გაჟღენთვის კოეფიციენტს და დროს, რომელიც საჭიროა გაჯერებული ნიადაგის სრული გაშრობისათვის. ჰორტონის მოდელის განტოლებაა:

$$f_p = f_{\infty} + (f_0 - f_{\infty})e^{-kat} \quad (2.3)$$

სადაც: f_p ინფილტრაციის სიჩქარეა (მმ/სთ), f_0 ინფილტრაციის საწყისი მაჩვენებელი (მმ/სთ), f_{∞} ინფილტრაციის მინიმალური მაჩვენებელი, k_d გაჟღენთვის კოეფიციენტი (სთ^{-1}) და t დრო წმ.

ინფილტრაციის პროცესებისთვის შემდეგი ნაბიჯი ყოველთვის არის ნიადაგის მიერ ინფილტრაციის უნარის აღდგენა (დაშრობა - გადანაწილება). აორთქლება, მიწისქვეშა დრენაჟი და ნიადაგის ფენებს შორის ტენიანობის გადანაწილება, ამცირებს რელიეფის და ნიადაგის ზედა ფენების გაჯერების დონეს და შესაბამისად ზრდის ნიადაგის ინფილტრაციის შესაძლებლობებს. ეს პროცესები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ისინი ძაან კომპლექსურია რეპლიკაციისათვის, ამიტომ სვიმში გამოიყენება მარტივი ემპირიული მიდგომა (William James, Lewis A. Rossman And James, 2010).

მიწათსარგებლობა მოდელის ერთ ერთი მთავარი კომპონენტია, იგი გამოიყენება აუზის ყოველი ზედაპირისათვის და მისი ძირითადი გრადაცია მოიცავს, საცხოვრებელ, კომერციულ, ინდუსტრიულ, განუვითარებელ ან შერეულ მიწათსარგებლობის ზონებს და იგი გამოიყენება წინასწარი დათქმებისათვის (სხვადასხვა პარამეტრებისათვის წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლები). აუზის ზედაპირები მოიცავენ ისეთ ელემენტებს როგორცაა, სახურავები, ნარგავები, საფეხმავლო გზები, ღია ნიადაგები, გზები და ა.შ. ასევე გამოიყენება სხვადასხვა პარამეტრები როგორცაა წყალგამტარი თუ წყალგაუმტარი ზედაპირების თანაფარდობა, ქუჩის დასუფთავება, დამაბინძურებლების დაგროვების და გადარეცხვის კოეფიციენტები და დამაბინძურებლების სივრცითი განაწილება.

ტრანსპორტირების მოდული პასუხისმგებელია ჩამონადენის საკუთხებზე იგი მოიცავს ზედაპირული დინების პროცესებს (ძირითადად მეჩხერი წყალი), მილებში დინებას, სატუმბ სადგურებს, რეგულატორებს და სარქველებს, ასევე ნატანის გადატანის პროცესებს. სვიმში დინების სამი ტიპია რეალიზებული, სტაბილური ნაკადი, კინემატიკური ტალღის ნაკადი და დინამიური ტალღის ნაკადი, ყველა მათგანი რეგულირდება მასის და იმპულსის შენარჩუნების სენტ-ვენანის განტოლებით თანდათან ცვალებადი ნაკადისათვის.


წყლის მარშრუტიზაციისას, სტაბილური ნაკადი (ლამინარული დინება) ყველაზე მარტივი ტიპია, იგი ეფუძნება იდეას რომ, გამოთვლის ყოველ ეტაპზე დინება ერთგვაროვანი და მდგრადია. ამ დროს წყლის მასა ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადაეცემა სისტემის ზედა ელემენტებიდან ქვედა ელემენტებს, იგი არ ითვალისწინებს ისეთ პროცესებს როგორცაა, წყლის ნადაკარგები, გრუნტის წყალთან ინტერაქცია, წნევიან ნაკადი, წყლის შეგროვება და იგი ძირითადად გამოიყენება გრძელვადიანი მოდელირებისას.

კინემატიკური ტალღის დინებისას, ნაკადის მარშრუტიზაცია ეყრდნობა უწყვეტობის უტოლობას და იმპულსის შენარჩუნების გამარტივებულ განტოლებას, რა დროსაც დინების ქანობი არ განსხვავდება სისტემის ელემენტის ქანობისაგან. ამ მეთოდისას თუ სისტემის რომელიმე ელემენტში შემავალი წყლის ნაკადი აღემატება მისი მიღების შესაძლებლობას იგი შეიძლება დაიკარგოს ან დროებით მოხდეს მისი დაყოვნება სისტემის ზედა ელემენტებში და როდესაც მისი მიღება შესაძლებელი გახდება ხელახლა გადავიდეს შესაბამის კვანძში. ამ მეთოდის დროს დროის ბიჯი შეზღუდულია 5-დან 15-წუთამდე, თუ აღნიშნული შეზღუდვები არ არის გადამწყვეტი შესასრულებელი პროექტისათვის, იგი შეიძლება იყოს ზუსტი და ეფექტური გრძელვადიანი სიმულაციებისათვის.

დინამიურ ტალღის დინების მეთოდისას, იგი მთლიანად ეყრდნობა სენტ-ვენანის ერთგანზომილებიანი ნაკადის განტოლებებს და შესაბამისად იძლევა ყველაზე ზუსტ შედეგებს. ბლუმებისათვის (მილსადენებისათვის) იმპულსის და დაკადის უწყვეტობის განტოლებები გამოიყენება, ხოლო კვანძებისათვის (ჭებისათვის) მოცულობის იმპულსის განტოლება გამოიყენება. იგი ითვალისწინებს ყველა იმ პროცესს რომლებიც შეზღუდულია იყო წინა ორი მარშრუტირების მეთოდისას, როგორცაა წყლის შენახვა და დანაკარგები, დაწნევით დინება, იგი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა რეგულატორებს გადამღვრელების ან რეგულატორებით, ასევე სატუმბ სადგურებს, მარშრუტირების ამ მეთოდისას შესაძლებელია 1 წუთიანი დროის ბიჯის გამოყენება და იგი საუკეთესოა ცალკე აღებული მოვლენების მოდელირებისათვის და/ან შესაფასებლად.

სადრენაჟე სისტემის (მილების) სატრანსპორტო ნაწილი მოცემულია ჭებისა (კვანძები) და მილების (ბმულების) ქსელით. კვანძები არის წერტილები, რომლებიც წარმოადგენენ ბმულების შეერთების წერტილებს, ნაკადის გამყოფებს, წყლის შესანახ რეზერვუარებს ან წყალმიმღებებში ჩამღვრელებს. ბმულები (მილები და არხები) თავის მხრივ ერთმანეთთან აკავშირებს კვანძებს, ასევე გვხვდება სხვა ელემენტებიც როგორცაა ტუმბოები ან ნაკადის რეგულატორები. მიწათსარგებლობის ელემენტი და დამაბინძურებლების პარამეტრები გამოიყენება წყლის ხარისხის აღსაწერად. და ბოლოს, მონაცემთა ობიექტების ჯგუფი, რომელიც მოიცავს მრუდებს, დროთა სერიებს, და კონტროლის წესებს, გამოიყენება სვიმ მოდელში სხვადასხვა ფიზიკური ობიექტების დასახასიათებლად (Rossman and Huber 2016).

მოდელის ვიზუალური მხარე შემდეგ ნაირად გამოიყურება:



ნახაზი 2. 3 - სვიმ პროგრამის ძირითადი ფანჯარა


ხოლო ცალკე აღებული ელემენტების პარამეტრები შემდეგ მახასიათებლებს მოიცავენ.

Subcatchment 021		Conduit 22	
Property	Value	Property	Value
Name	021	Name	22
X-Coordinate	5634.850	Inlet Node	23
Y-Coordinate	3506.375	Outlet Node	24
Description		Description	
Tag		Tag	
Rain Gage	Fene	Shape	CIRCULAR
Outlet	23	Max. Depth	.4
Area	0.066549	Length	89.05
Width	26.59	Roughness	0.010
% Slope	12.11	Inlet Offset	0
% Imperv	85	Outlet Offset	0
N-Imperv	0.010	Initial Flow	0
N-Perv	0.2	Maximum Flow	0
Dstore-Imperv	2.0	Entry Loss Coeff.	0.5
Dstore-Perv	5	Exit Loss Coeff.	1
%Zero-Imperv	25	Avg. Loss Coeff.	0
Subarea Routing	OUTLET	Seepage Loss Rate	0
Percent Routed	100	Flap Gate	NO
Infiltration Data	HORTON	Culvert Code	
Groundwater	NO	Inlets	NO
Snow Pack			
LID Controls	0		
Land Uses	0		
Initial Buildup	NONE		
Curb Length	0		
N-Perv Pattern			
Dstore Pattern			
Infil. Pattern			

Rain gage assigned to subcatchment

Click to edit the conduit's cross section geometry

ნახაზი 2. 4 - პროგრამის პარამეტრების ფანჯრები (ზედაპირი, მილი).



ნახაზი 2. 5 - მილის მახასიათებლების ფანჯარა

პარამეტრები განსხვავდება ყოველი ცალკე აღებული ელემენტისათვის. ხოლო მათ შორის კავშირები სხვა და სხვა ფიზიკური პროცესების მათემატიკურ რეპლიკაციებს ეფუძნება.



ნახაზი 3. 2 - საპილოტე აუზის აეროფოტო.

აუზის ზომა შეადგენს 48,532 კმ²-ს, იგი შედგება უშუალოდ ავტოსტრადისგან და მიმდებარე ზონებისგან, პარკინგი, გამწვანება, საფეხმავლო სივრცე, უშუალოდ ავტოსტრადის ფართობი 17,060 კმ²-ს შეადგენს რაც საერთო ფართობის 35,15%-ია.



ნახაზი 3. 3 - ავტოსტრადა და მიმდებარე ტერიტორიები.

წყალგაუმტარი ზედაპირის ფართობი შეადგენს ავტოსტრადა 17,060 კმ²-ს, მიმდებარე არეა 17,478 კმ²-ს, ხოლო წყალგამტარი ზონა შეადგენს გამწვანებულ არეალს 13,994 კმ² ფართობის.

ცხრილი 3. 1 - ზედაპირის განაწილება.

აუზის სრული ზომა	48.532 კმ ²
წყალგამტარი (ბალახი და წყალგაუმტარი	13.994 კმ ²
ლას პაისის	17.060 კმ ²
მიმდებარე არეალები	17.478 კმ ²

სანიაღვრე ქსელი შედგება ძირითადად 400 მმ ბეტონის მილებისაგან, (ქსელის ბოლო მონაკვეთში მაქსიმალური დიამეტრი 600 მმ-ს შეადგენს), ცხაურებისაგან რომელიც გადაიჭერს სანიაღვრე წყლებს, საკონტროლო ჭებისგან, გამწვანებული ნაგებობისგან და ჩაშვების წერტილისაგან რომელიც წყალს ფეროლის ყურეში უშვებს.


სანიაღვრე ქსელის საშუალო დახრა 3,49%-ია, რომელიც უზრუნველყოს საკმარის წყალგამტარობას ისე რომ სისტემის გადავსება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. აუზის ზომის და წყალგაუმტარი ზედაპირის თანაფარდობას, მინიმუმამდე დაყავს ნალექის დაკავების დრო, ანუ წვიმის წამოსვლისას, მყისიერად მიიღება დინება სანიაღვრე სისტემაში.



ნახაზი 3. 4 - სანიაღვრე ქსელის სქემა.


ცხრილი 3. 2 - სანიაღვრე ქსელის მახასიათებლები.

მასალა და	(მ)	(%)	დახრა
მილი Ø 315	72,62	3,91	3,24%
მილი Ø 400	1.714,08	92,4	3,62%
მილი Ø 500	18,08	0,97	0,39%
მილი Ø 600	50,32	2,71	0,54%
ბეტონის მილი	1.782,48	96,09	3,50%
პვე მილი	72,62	3,91	3,24%
სულ	1.855,10	100	3,49%



ნახაზი 3. 5 - ქსელის დახრისა და სიგრძის შესაბამისობა.

აღნიშნული საკვლევითი პროექტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აუზში დამონტაჟებულ იქნა საფილტრი სადგური, რომელიც მიწაში დამარხულ ბეტონი ავზებს წარმოადგენს, ფილტრაცია დაფუძნებულია დალექვა-გაფილტვრის მეთოდზე ე.წ „ოსტინის ფილტრი“ საერთო მოცულობით 124 მ³.



ნახაზი 3. 6 - ოსტინის (ქვიშის) ფილტრის სქემატური ნახაზი.



ნახაზი 3. 7 - ფილტრის შიდა ხედი, სადაც აკუმულირებული დანალექი შეინიშნება.

3.2 წვიმის რეჟიმი

გალისიის კლიმატი ფორმირებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით მორფოლოგიით. ატლანტიკის სანაპირო ძირითადად ცხელი და ტენიანია. საკვლევ რეგიონი ხასიათდება ზომიერი კლიმატით, 1300 მმ წლიური ნალექით და საშუალოდ 130 წვიმიანი დღით წელიწადში.

3.3 საგზაო ტრაფიკი

ინფორმაცია საგზაო ტრაფიკთან დაკავშირებით აღებულია ესპანეთის სახელმწიფო საგზაო დეპარტამენტიდან.

ცხრილი 3. 3 - წლიური საშუალო დღიური ტრაფიკი.

წელი	ტრაფიკი	% სატვირთო ავტომობილი
2005	19,145	
2006	21,714	
2007	30,417	
2008	29,678	
2009	28,837	
2010	27,809	
2011	23,958	2.83
2012	23,958	2.83
2013	21,549	2.10
2014	20,177	1.94
2015	20,575	2.10
2016	19, 876	1.9
2017	19,516	2.0
2018	15,723	2.3
2019	19.139	2.4

საკვლევ ავტოსტრადაზე საშუალო ტრაფიკია 17,431 ავტომობილი/დღეში აქედან საშუალოდ 351 მძიმე სატვირთო ავტომობილზე მოდის. ასფალტის საფარი წყალგაუმტარია კარგი ხარისხის, 8 ქულა ასფალტის საფარის შეფასების სისტემის მიხედვით, „ფაზერის ასფალტის სახელმძღვანელო“ (დ. ვოკერი 2002). წყალშემკრების ქვედა ნაწილში ასფალტის საფარი შედარებით დაზიანებულია. საფეხმავლო გზა დამზადებულია კვადრატული ბეტონის ფილებით და ბეტონის ბორდიურებით. დანალექი აკუმულირება ზედაპირზე დეტალურად არის აღწერილი ლიტერატურის მიმოხილვაში. საავტომობილო გზის მონაკვეთზე დანალექის გასაშუალოებული ზომა შედარებით მცირეა ვიდრე ბორდიურის გასწვრივ. ბორდიურის გასწვრივ ბუნებრივად მცირე არხია მოწყობილი რომელიც სადრენაჟე წყლის ბუნებრივ კალაპოტს წარმოადგენს, მისი ბუნებრივი არსიდან არაერთგვაროვანი ფორმებით ხასიათდება და იგი ახლოს მდებარე ცხაურასთან მთავრდება. მოზრდილი ზომის დანალექები რომელებიც გვხვდება ბორდიურის გასწვრივ ძირითადად წარმოადგენს ასფალტის ცვეთის მასალას, იგივე ტიპის დანალექები გვხვდებოდა საკონტროლო სექციის ძირზე.



ნახაზი 3. 8 - ბუნებრივი არხი და წყალმიმღები ცხაურა.

საბოლოოდ მონიტორინგისათვის ფენეს წყალშემკრების მხოლოდ მარცხენა მხარე შეირჩა, რომელიც მსგავსი მიწათსარგებლობის ზონებით ხასიათდება. ზედაპირის ფართობი 5728 კმ²-ს შეადგენს, მილების სრული სიგრძე 520 მეტრი, 9 წყალმიმღები ცხურით, და საკონტროლო ჭებით, ყველაზე ქვედა საკონტროლო ჭაში რომელიც წყალგამწენდამდეა მოეწყო საკონტროლო სექცია.

3.4 გამოყენებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა

3.4.1. ნალექის გაზომვა


ინფორმაცია ნალექის შესახებ უნდა მოიცავდეს წვიმის ინტენსივობას და მის დროში განაწილებას (ჰიეტოგრაფი) რათა განისაზღვროს წყალშემკრები აუზის წვიმიანი და მშრალი პერიოდები. ინფორმაციის უფრო ზუსტად მოსაპოვებლად საკვლევ აუზში წვიმის სენსორი მოეწყო და დაკავშირებულ იქნა ლოგერთან, რომელიც იწერდა მონაცემს 1 წუთის ინტერვალით.



ნახაზი 3. 9 - წვიმის სენსორი და დატა ლოგერი.

წვიმის სენსორი დამონტაჟებულ იქნა 3 მეტრის სიმაღლეზე, ლოგერს გააჩნია 16092 ჩანაწერის დამახსოვრების საშუალება რაც ჩვენ რეჟიმის მიხედვით 56 დღეს შეადგენს.

მიღებული ინფორმაციის სიზუსტის დასადგენად აღებული მონაცემები ედრებოდა მეტეო გალისიის სადგურის მონაცემებს, რომლის ზონდიც განთავსებული იყო 6,5 კმ-ში საკვლევი ზონიდან და მონაცემებს 10 წუთიანი ინტერვალით იწერდა, მონაცემთა რიგი 2001 წლიდან არის ხელმისაწვდომი. 4 თვიანი დაკვირვების შემდეგ მეტეო გალისიის ჯამურმა ნალექმა 478ლ/მ² შეადგინა ხოლო ჩვენს მიერ დაყენებულმა ზონდმა 418 ლ/მ², რაც მეტეო გალისიის საშუალო გადახრის ნორმაში ჯდება.



ნახაზი 3. 10 - მეტეო გალისიის და ლოკალური ნალექების შედარება.

წვიმის მოვლენათა შორის დროის დასადგენად გრძელვადიანი ნალექების მონაცემების სტატისტიკური დამუშავება გახდა საჭირო (ადამსი და პაპა, 2002; ჯო 2014). ჩვენს შემთხვევაში 4 საათი შეადგინა.

3.4.2 ხარჯის გაზომვა

HACH SIGMA 950 ხარჯ მზომი გამოიყენებოდა აღნიშნული კვლევისას, იგი ე.წ. დოპლერის და ბაზლერის ზონდების დახმარების ზომავდა ხარჯის სიჩქარეს და სიღრმეს, ხოლო მიკროპროცესორი წინასწარ შეყვანილი სექციის მახასიათებლების გამოყენებით ავტომატურად ანგარიშობდა ხარჯს.



ნახაზი 3. 11 - SIGMA-950 ხარჯმზომი.

იგი აღჭურვილი 128კბ მეხსიერებით რომელიც საკმარისია 42 დღის მონაცემების შესანახად.

წყლის ნაკადიდან სინჯების ასაღებად HACH SIGMA-SD900 ავტოსემპლერი გამოიყენებოდა, იგი შედგებოდა 24, 1 ლიტრიანი კონტეინერისგან და სინჯების განაწილება 1 სინჯი 1 ბოთლში, სინჯის ამღები ზონდი დამაგრებული იყო ხარჯმზომის ზონდებთან ერთად შემომავალ 400მმ, მილში. იგი დაკავშირებული იყო ხარჯმზომთან და სინჯების აღებას შემდეგი მეთოდით ახორციელებდა. თავიდან სინჯის აღება ხდებოდა ყოველ 10 წუთში როდესაც დინების სიღრმე 3 სმ-ს მიაღწევდა და სანამ 1 სმ-დე არ დაეცემოდა, შემდგომში სინჯების უკეთესი ხარისხის მისაღებად ინტერვალის დრო ჯერ 5 წთ-მდე ხოლო ბოლოს 3 წთ-მდე შემცირდა, ამან მოგვცა საშუალება უკეთ დაგვეჭირა დამაბინძურებლები პიკური ხარჯისას.

საკონტროლო სექცია მოითხოვდა ყოველკვირეულ მოვლას, რაც მოიცავდა აკუმულატორების შეცვლას, სინჯების ამოღებას, მოწყობილობებიდან მონაცემების ჩამოწერას და საკონტროლო სექციის და ზონდების ნატანისგან გაწმენდას. ჭიდან ამოღებული ნატანი მასალა მოგვექონდა ლაბორატორიაში და გამოიყენებოდა როგორც ანალიზებისათვის ასევე სხვადასხვა ლაბორატორიული აქტივობებისათვის.




ნახაზი 3. 12 - ზონდების განთავსება შემომავალ მილში.



ნახაზი 3. 13 - საკონტროლო სექცია.

მშრალი, მყარი დანალექი მასალის შესაგროვებლად საჭიროა წინასწარ შერჩეული ზედაპირების მონიშვნა ძირითადად კვადრატული ან მართკუთხა ფორმის, თუმცა ტრაფიკისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით ფორმა შესაძლებელია შეიცვალოს, ისინი განთავსებული უნდა იყოს ბორდიურის გასწვრივ სადაც რათა ტრაფიკისა და ქარის ზეგავლენა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. მსგავსი პრაქტიკები აღწერილია შემდეგ ნაშრომებში (ეგოდავატა, 2007; მიგუნტანა, 2009; ვანგი, ჩენი და ლინი, 2013). ჩვენს

შემთხვევაში ზედაპირის ფართობი მიახლოებით 1მX1მ შეადგენდა, ისინი გზის გასწვრივ ისე იქნა შერჩეული რომ მთელი წყალშემკრების წარმოჩენა შეეძლოს, სინჯების აღება ხორციელდებოდა 1,2,3,5,7,10 და 15 დღეს ნალექის შემდეგ. ყველა სინჯი ცალკეულ პაკეტებში ინახებოდა შესაბამისი ნუმერაციით. შემდეგ მშრალი მასალა ლაბორატორიაში იფილტრებოდა სხვადასხვა ზომის ფილტრებში “Falter Screening FT-97” რათა ნაწილაკების ზომის განაწილების აღწერა ყოფილიყო შესაძლებელი.



ნახაზი 3. 14 - მშრალი სინჯების ზედაპირთა მახასიათებლები.


3.4.3 ვაკუუმური შეგროვების სისტემა

მრავალი მეცნიერი აღნიშნავს რომ აუზის ზედაპირიდან მშრალი დანალექის შესაგროვებლად ვაკუუმური სისტემა მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, სადაც როგორც ინდუსტრიული ასევე სახლის მტვერსასრუტების გამოიყენება შესაძლებელია სხვადასხვა ჯაგრისებთან ერთად (გულსონი, 1995; ვაზე და ჩიუ, 2002). ჯაგრისების გამოყენებით დიდი ზომის ნაწილაკების შეგროვებაა შესაძლებელი, ხოლო მტვერსასრუტი და მათი კომბინაცია უფრო წვრილი ნაწილაკების შესაგროვებლად გამოიყენება (თევენოტი, 1999; ვაზე და ჩიუ 2002). ვაზე და ჩიუ (2002) თავისი კვლევისათვის იყენებდნენ 1500 ვტ სიმძლავრის ინდუსტრიულ მტვერსასრუტს. მიგუტანა (2009) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ტაი (1991) იყენებდა სახლის მტვერსასრუტს და მისი მიხედვით მტვერსასრუტის წარმადობა 96,4% იყო 75 მიკრონზე ნაკლები ნაწილაკებისათვის (მიგუტანა, 2009; ტაი, 1991). თუმცა ეგოდავატა (2007) მიიჩნევს, რომ მტვერსასრუტი ჯაგრისებრი პირით და

დამატებითი ჯაგრისის დახმარებით უკეთეს შედეგს იძლევა. მტვერსასრუტის ჯაგრისებრი პირი დამატებით შემწვავ ძალას წარმოქმნის პატარა არეზე რაც ასფალტის ფორებში ჩაჭედილი ნაწილაკების ამოსაღებად უკეთეს შედეგს იძლევა.

ამ ტიპის კვლევებისათვის ძირითადად დელონგის ფირმის აქუალენდის მოდელის 1500 ვტ-იანი მტვერსასრუტი გამოიყენება, იგი შედარებით კომპაქტურია და იოლი გამოსაყენებელია, იგი საშუალებას გვაძლევს მთელი კვლევის პერიოდში მოხდეს სინჯების აღება. მტვერსასრუტი უნდა აღიჭურვოს მაღალი ეფექტურობის სინჯების შესანახი ჩანთებით (High Efficiency Particulate Air HEPA), რომელთა ეფექტურობა 99,97% 63 მიკრონზე ნაკლები ნაწილაკებისათვის (ეგოდავატა, 2007; ჰენგრენი, გუნეტიკლე და აიკო, 2005; მიგუნტანა, 2009).

ჩვენი კვლევისათვის მსგავსი მახასიათებლების ინდუსტრიული მტვერსასრუტი (TITAN TTB351VAC), HEPA-ს 25 ლიტრიანი ფილტრები და 1500 ვატის გენერატორი იქნა შერჩეული.



ნახაზი 3. 15 - გამოყენებული მტვერსასრუტი, ლაბორატორიაში და ქუჩის სექციში გამოყენებისას.

რეალურ სიტუაციებში გამოყენებამდე მოხდა მტვერსასრუტის წარმადობის შემოწმება ლაბორატორიულ პირობებში 2 სხვადასხვა ტიპის ზედაპირისთვის, ამისათვის საკონტროლო სექციიდან წინასწარ აღებული სინჯები გამოვიყენეთ, მოვახდინეთ მათი გრანულომეტრიული დახარისხება და წინასწარ გაწმენდილ ზედაპირზე მათი განთავსება, გამოყენებულ იქნა 1 – 1000 მიკრონამდე ზომის ნაწილაკები, რადგან ისინი ყველაზე ხშირად გვხვდებოდა საკვლევ არეალში. საბოლოო ჯამში მტვერსასრუტმა

ლაბორატორიულ პირობებში 97% ეფექტურობა აჩვენა, ხოლო საველე სამუშაოებისას 92%, რაც 10% გადახრის ზღვარში ჯდება. (ჯაგრისებზე დარჩენილი ნაწილაკები და სხვა დანაკარგები).

3.5 შესრულებული სამუშაოები

ჩვენი კვლევისათვის ხარჯის გაზომვისა და სინჯების აღების სამუშაოები დაიწყო 2016 წლის ნოემბერში, პირველი მოვლენა დაფიქსირდა 17 ნოემბერს, სულ ხარჯისა და თხევადი სინჯების აღება გაგრძელდა 1 წელი, 1 თვე და 10 დღე, ბოლო მოვლენა 2017 წლის 25 დეკემბრით თარიღდება. თითო მოვლენისას საშუალოდ 10, 1 ლიტრიანი სინჯის აღება ხდებოდა საიდანაც ლაბორატორიული ანალიზები საშუალოდ 5 შერჩეულ სინჯს უტარდებოდა.

ცხრილი 3. 4 - სინჯების აღების და ლაბორატორიული აქტივობების ჟურნალი.

№ მოვლენა	აღებული სინჯები	სინჯების ანალიზი	ინტერვალი (წთ.)	გარემოსდაცვითი ლაბორატორია												
				ძირითადი პარამეტრები												
				TSS სშნ	TDS სგნ	TS სნ	TSSV სშმვ	TDSV სგმვ	TDS სგმ	COD ცოდ	COD Settled ცოდ დალექილი	TP სფ	TN სნ	pH პჰ	Turb. გამჭვ.	Cond. გამტ.
1	4	1 კომპოზიტურ ი	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
2	4	1 კომპოზიტურ ი	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
3	14	7	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
4	9	7	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
5	11	6	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
6	6	6	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
7	3	3	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
8	5	5	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
9	7	1 კომპოზიტურ ი	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
10	4	4	10	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი


11	5	5	10	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
12	8	4	5	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
13	9	5	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
14	24	7	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
15	7	6	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
16	7	5	3	30	30	30	30	30	30	30	არს	30	30	30	30	30
17	17	6	3	30	30	30	30	30	30	30	არს	30	30	30	30	30
18	2	2	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
19	12	7	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
20	10	6	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
21	24	8	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
22	24	7	3	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30

ცხრილი 3. 5 - მძიმე მეტალების სინჯების ჟურნალი.


№ მოვლენა	აღებული სინჯები	სინჯების ანალიზი	ინტერვალი (წთ)	ძირითადი ლაბორატორია								
				№ გაგზავნილი სინჯები	მძიმე მეტალები							
					Cr	Cd	Cu	Hg	Ni	Pb	Zn	
1	4	1 კომპოზიტური	10	1	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
2	4	1 კომპოზიტური	10	1	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
3	14	7	10	7	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
4	9	7	10	7	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
5	11	6	10	6	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
6	6	6	10	9	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
7	3	3	10	9	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
8	5	5	10		არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
9	7	1 კომპოზიტური	10	-	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
10	4	4	10	-	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
11	5	5	10	-	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
12	8	4	5	4	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
13	9	5	3	-	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა

14	24	7	3	5	30	30	30	30	30	30	30
15	7	6	3	5	30	30	30	30	30	30	30
16	7	5	3	4	30	30	30	30	30	30	30
17	17	6	3	4	30	30	30	30	30	30	30
18	2	2	3	2	30	30	30	30	30	30	30
19	12	7	3	7	30	30	30	30	30	30	30
20	10	6	3	6	30	30	30	30	30	30	30
21	24	8	3	8	30	30	30	30	30	30	30
22	24	7	3	6	30	30	30	30	30	30	30

სინჯების აღრიცხვიანობისათვის და მისი ვიზუალიზაციისათვის MS Excel-ზე დაფუძნებული GEAMA-ს ლაბორატორიაში შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფით ხდებოდა. იგი მოიცავდა სრულ ინფორმაციას თითოეული მოვლენის შესახებ, როგორცა წვიმის ინტენსივობა, ხარჯი, აღებული სინჯები, ჰიდროგრაფისა და პოლუტოგრაფის შეთავსება, ასევე ლაბორატორიული დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემების კორელაციას არსებულ ხარჯთან, თავისი გრაფიკებით და მონაცემებით.



ნახაზი 3. 16 - ჰიდროლოგიური მახასიათებლების ველი.



ნახაზი 3. 17 - პოლუტოგრაფის ასაწყობი ინტერფეისი.

ფაილი დაყოფილია რამდენიმე ჩანართად და ისინი მოიცავენ შემდეგ ინფორმაციას.

ჩანართი 1, ძირითადი ინფორმაცია, აუზის ზომები, მოვლენის თარიღი და ხანგრძლივობა, ინფორმაცია ნალექებზე, ხარჯებზე, სინჯის აღების დროზე და წინსწრებულ მშრალ პერიოდზე.

ჩანართი 2, აქ დამაბინძურებლების პოლუტოგრაფებია წარმოდგენილი ყოველი ცალკე აღებული სუბსტანციისათვის. (ცოდ, ცოდ დალექილი, სრული ნიტრატი, სრული ფოსფორი, სრული შეწონილი მასალა (სშმ), სწმ გამომწვარი, სრული გახსნილი მასალა (სგმ), სგმ გამომწვარი, გამჟღავნება და დენის გამტარიანობა, პეაში) ისინი წარმოჩენილი იყო მათთან ასოცირებული ჰიდროგრაფით, ჰიდროგრაფის და პოლუტოგრაფის კავშირი მთავარი ანალიზის საშუალებაა. თითოეულ დამაბინძურებელზე შემდეგი ინფორმაცია იყო წარმოდგენილი.

- კონცენტრაციის მაქსიმალური დრო (კმაქს)
- მოვლენის მინიმალური კონცენტრაცია
- მოვლენის საშუალო კონცენტრაცია

- მოვლენებს შორის გასაშუალოებული კონცენტრაცია (მგკ)
- დამაბინძურებლების სრული მასა
- ხარჯის მიერ მობილიზებული დამაბინძურებლების მაქსიმალური მასა (ხმდმმ)

ჩანართი 3, დამაბინძურებლების მასის მობილიზაციის ძირითადი ინფორმაცია, იგი წარმოადგენს მობილიზაციის გრაფიკულ წარმოსახვას „ა“ ტიპის კოეფიციენტის გამოყენებით თითოეული პარამეტრისათვის.

ჩანართი 4, აქ წარმოდგენილია მძიმე მეტალების პოლუტოგრაფები როგორც სრული ისე გახსნილ მდგომარეობაში, მასთან ასოცირებული ჰიდროგრაფით, ინფორმაცია განაწილებულია 2 ჩანართის იდენტურად.

ასევე იგი შეიცავს სხვადასხვა დამხმარე ჩანართებს რომლებიც კალკულაციებისათვის გამოიყენება.

3.6 - სტატისტიკური მეთოდების გამოყენება

სტატისტიკური ანალიზი მნიშვნელოვანი ასპექტია სინჯების დამუშავებისას, იგი გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ და გავანალიზოთ პარამეტრებს შორის ცდომილების დონე, მისი გამოყენებით შესაძლებელია დამყარდეს კავშირი პარამეტრებს შორის და გამოიკვეთოს მათი ქცევის ტენდენცია, რათა უკეთესად გავიგოთ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მოვლენები, რომლებიც წარმოიშობა მოვლენის დროს.

3.6.1 კორელაციური ანალიზი

მონაცემებს შორის კორელაციის ცოდნა მნიშვნელოვანი ასპექტია ლაბორატორიულ ანალიზებსა და ხარჯის დამოკიდებულების შედარებისას. კორელაციური მატრიცები სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს სტოქასტური მოდელების გენერირებისას, რადგან მას შეუძლია სხვადასხვა ცვლადებს შორის დამოკიდებულების ანალიზი.

3.6.2 ძირითადი კომპონენტების ანალიზი

ძირითადი კომპონენტების ანალიზი (ძკა) არის ინფორმაციის სინთეზის ან განზომილების (ცვლადების რაოდენობის) შემცირების სტატისტიკური ტექნიკა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც გვაქვს მრავალი ცვლადის მქონე მონაცემების ბაზა, და გვინდა მათი რაოდენობრივი შემცირება რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაციის დანაკარგებით.

ძკა-ში მთავარი ასპექტია ფაქტორების ინტერპრეტაცია; ვინაიდან ეს არ არის თავიდანვე ცნობილი, არამედ გამოიკვეთება საწყის ცვლადებთან ურთიერთკავშირის დაკვირვების შედეგად. ყველა ძკა ანალიზი გაკეთდა MINITAB პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

3.6.3 რეგრესიული ანალიზი


რეგრესიული ანალიზი ძალიან პოპულარული სტატისტიკური ინსტრუმენტია. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ სტატისტიკური რეგრესიის ანალიზი არასოდეს გულისხმობს თავისთავად მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას რამდენიმე პარამეტრს შორის, არამედ მხოლოდ გვთავაზობს კორელაციებს ან ქცევის ტენდენციებს.

3.6.4 საძიებო მონაცემთა ანალიზი

საძიებო მონაცემთა ანალიზი არის სწრაფი ინსტრუმენტი ტენდენციების ან ქცევის შაბლონების მოსაძიებლად მონაცემთა სერიაში. ამ ტიპის ანალიზის ჩასატარებლად ძირითადად გამოიყენება მონაცემთა გრაფიკული წარმოდგენის ინსტრუმენტები, თუმცა ეს ტექნიკა შეიძლება დაემატოს რაოდენობრივ სტატისტიკურ ტესტებს.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნიკაა „Box-whisker“ გრაფიკული ან მონაცემთა განაწილების დიაგრამები, ალბათობის მანძილის გრაფიკების მომზადება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტია მონაცემთა სერიის გასაანალიზებლად. ამ ტიპის წარმოდგენა ასახავს პარამეტრის ცვალებადობის დიაპაზონს, განაწილების ფუნქციას, რომელიც საუკეთესოდ ერგება მონაცემთა ნაკრებს, ასევე მოცემული მნიშვნელობის გაჩენის ალბათობას. ნორმალური, ლოგნორმალური ან ვეიბულის განაწილება მორგებულია სხვადასხვა მნიშვნელობებსა და პარამეტრებზე.

„Box-whisker” ფიგურა 3-18 არის გრაფიკული წარმოდგენის ტიპი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მონაცემთა განაწილების მედიანაზე, აგრეთვე მონაცემთა სერიის დისპერსიასა და სიმეტრიაზე ამ მნიშვნელობის მიმართ. ამ ტიპის წარმოდგენები შეიძლება გამოყენებულ იქნას კონცენტრაციების ან მობილიზებული დამაბინძურებლების შედარებისთვის, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა დამაბინძურების პარამეტრებისთვის, ან ერთი და იგივე დამაბინძურებლებისთვის სხვადასხვა სეზონის განმავლობაში აუზში ან თუნდაც სხვადასხვა აუზში მიღებული შედეგების შესადარებლად.




ნახაზი 3. 18 - „Box-whisker” აღწერილობა.

როგორც ნაჩვენებია ნახ. 3-18-ზე, ეს ტექნიკა გრაფიკულად წარმოადგენს ძირითად სტატისტიკას, რომელიც სწრაფ და მარტივ ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა, მაგალითად, შერჩევისას მიღებული მონაცემთა განაწილების შესახებ. ცენტრალური მართკუთხედი განისაზღვრება განაწილების პირველი და მესამე კვარტლებით, რომლებიც შეესაბამება 25% და 75% პროცენტებს შესაბამისად. მართკუთხედის შიგნით ვერტიკალური ხაზი წარმოადგენს განაწილების მედიანას.

თავი IV. ლაბორატორიული სამუშაოები

4.1 ქუჩის მოდელის დახასიათება


ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდა CITEEC ლაბორატორიაში. ლაბორატორიული ინსტალაცია შედგება სრულმასშტაბიანი ქუჩის მონაკვეთისგან, რომელიც აშენებულია კორუნის უნივერსიტეტის სამშენებლო და სამოქალაქო ინჟინერიის ტექნოლოგიური ინოვაციების ცენტრის (CITEEC) ჰიდრავლიკურ ლაბორატორიაში. ფიზიკური მოდელის გეომეტრია და მიმოხილვა ნაჩვენებია ნახ 4-1. მოდელი შედგება ბეტონის საფეხმავლო ზონისა და გზისგან, რომელიც დაკავშირებულია სანიაღვრე ქსელთან. სამი წყალმიმღებით, ორი მათგანი (ცხაურა) გზის სავალ ნაწილზე და მესამე გვერდითი დაცლის არხი. იგი აგროვებს ჩამონადენს სანიაღვრე ქსელში, რომელიც მოიცავს ექვს წრიულ მილს ორი განსხვავებული დიამეტრით: 85 მმ (მილი 1 და მილი 2) და 190 მმ (მილები 3, 4, 5 და 6) და გვერდითი დაცლის არხი მართკუთხა კვეთით. ზედაპირს აქვს საშუალო განივი დახრილობა 2% 15 სმ სიმაღლის ბეტონის ბორდიურამდე და 0.5% გრძივი დახრილობა დაცლის არხთან.



ნახაზი 4. 1 - ლაბორატორიული ქუჩის სექცია, გრაფიკული ნახაზი და სურათი.

მოდელში ნალექს წარმოქმნის ზედაპირიდან 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ოთხი დიფუზორი. წვიმის ინტენსივობის განაწილება გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარის ზედაპირზე გაზომილი იყო წყლის მოცულობით, რომელიც შეგროვდა 25×25 სმ საცდელი მილების ქსელში 3 წუთიანი ნალექის დროს. წვიმის ინტენსივობის რუკა (ფიგურა 3-20) გვიჩვენებს, რომ ინტენსივობა უფრო მაღალია ორ საპირისპირო ზონაში თითოეული დიფუზორისთვის სადაც ისინი ერთმანეთს ემთხვევა. ნალექების

საშუალო ინტენსივობა (101,44 მმ/სთ) შეესაბამება რეალური წვიმის მაღალ ინტენსივობას. მწარმოებლის მონაცემების მიხედვით, წვეთების ზომა 3 მმ-ს უდრის, ხოლო ვარდნის სიჩქარე 7,62 მ/წმ-ს.



ნახაზი 4. 2 - წვიმის განაწილება და ხარჯის და სიმღვრიის გაზომვა.

მოგვიანებით წვიმის სიმულატორის კონფიგურაცია შეიცვალა და გაუმჯობესდა. წვიმის ახალი სიმულატორი წარმოდგენილია წვეთოვანი ქსელის სახით, რომელსაც აქვს მეტალის ბადე და მდებარეობს ზედაპირიდან 2 მეტრში. წვიმის გენერატორი წარმოადგენს წნევით კომპენსირებადი წვეთების მილებს დაჯგუფებული ორ 0,2X0,2 მ² ბადეში. მეტალის ბადე არის 3 მმ ზომის და წარმოქმნის დაახლოებით 4 მმ დიამეტრის წვიმის წვეთებს. ბადე საჭიროა წვიმის წვეთების გატეხვისა და თანაბარი გავრცელების მიზნით. წვიმის გენერატორს ინტენსივობის 3 ტიპის წარმოქმნა შეუძლია, 30 მმ/სთ, 50 მმ/სთ და 80 მმ/სთ, რომლებიც შეესაბამება წვიმის ყველა ძირითად რეალურ ინტენსივობას.



ნახაზი 4. 3 - განახლებული ქუჩის მოდელი.

სანიაღვრე ქსელის გამოსასვლელთან მდებარე ორი ავზი გამოიყენებოდა ჩაშვებული წყლის სხვადასხვა პარამეტრის გასაზომად, პირველ ავზში ხდება ნაკადის დაყოვნება, 160მმ სიგანე და 400მმ სიგრძე, რაც იძლევა საკმარის სიღრმეს სხვადასხვა ზონდების დასამონტაჟებლად. გაზომვის შემდეგ წყალი მიედინება უფრო დიდ ავზებში (50 X 60 სმ), სადაც ხარჯი იზომებოდა სამკუთხა გადამღვრელის გამოყენებით. გარდა ამისა, ხარჯი წინასწარ იზომებოდა მიმწოდებელ სისტემაში დამონტაჟებული მრიცხველით. ხარჯებს შორის სხვაობა არის 2%-ზე ნაკლები.

ლაბორატორიული სამუშაოების სრული აღწერა განთავსებული ჩვენს მიერ გამოცემულ სტატიაში: Pollutant wash-off phenomenon in real scale laboratory street section. IWA publishing DOI: 10.2166/WST.2017.345.

ასევე ჩატარდა ე.წ. მარილიანი წყლის ტესტირება რომლის მიზანი იყო წყალში გახსნილი დამაბინძურებლების ტრანსპორტირების ფენომენის შესწავლა ლაბორატორიულ პირობებში.

4.2 მშრალი ნალექის გამორეცხვის ტესტი

ზედაპირზე დაგროვებულ მასალაში მძიმე მეტალების გასაანალიზებლად ჩატარდა ე.წ. გამორეცხვის (ლიქსივიაციის) ტესტები. ასევე გაანალიზდა საკონტროლო

სექციის ძირზე დალექილი მასალა. ტესტის სტანდარტად შეირჩა მეთოდი DIN 38414-S4.

აღნიშნულ მეთოდით გამოვიყენეთ დეიონიზებული წყალი, როგორც გამომრეცხვის აგენტი და რომელიც შეიძლება წარმოიქმნას წვიმის დროს გზაზე დაგროვილი ნაწილაკების წყალთან შეხებისას. სწორედ მაშინ წარმოიქმნება მისგან გაჟღენთილი ხსნარი. თავდაპირველად განისაზღვრა და დაფიქსირდა სუფთა და მშრალი ნიმუშის კაფსულის წონა. ყველა კაფსულა იყო სათანადოდ იდენტიფიცირებული და დარეგისტრირებული შესაბამის ლაბორატორიულ ფორმებში.

ნიმუშები იყო გაცრილი და დაყოფილი იყო ზომის სამ კატეგორიად, <80მკ, 80-800მკ და 800-2000მკ. ნიმუშები შრებოდა ღუმელში 12-14 საათის განმავლობაში 110 გრადუს ტემპერატურაზე, სინჯები იწონებოდა ღუმელამდე და შემდეგ.

შემდეგი ტესტისთვის ნიმუშები დაიყო 5 ზომის კატეგორიად, <63მკ, 63-125მკ, 125-250მკ, 250-500მკ და 500-1000მკ.



ნახაზი 4. 4 - ლიქსივიაციის აპარატი, სინჯებით.

თითო 100 გრ ნიმუში შერეული იყო 1000 მლ დეიონიზებულ წყალში სპეციალურ პლასტმასის ჭურჭელში მოთავსებულ იყო ტრიალა მიქსერზე, ოთახის ტემპერატურაზე

24 საათის განმავლობაში 10 rpm ბრუნვის სიჩქარით, დამატებით ერთი ცარიელი კონტეინერი ემატებოდა მიქსერს კომპენსაციისთვის. ამ ტესტისთვის გამოყენებული იქნა Rotax 6.8 ოვერჰედის მიქსერი. არევის შემდეგ მყარი და თხევადი ფაზები იყოფა ფილტრით 0,45მიკრონის ფორების ზომის.

მიღებული თხევადი სინჯები ანალიზდებოდა შერჩეულ მძიმე მეტალების კონცენტრაციებზე (Cr, Cd, Cu, Hg, Ni, Pb, Zn), პეაშსა და ელექტრულ გამტარიანობაზე.

4.3 სინჯების მენეჯმენტი

ექსპერიმენტული სამუშაოების დროს შეგროვებული ნიმუშების გასაანალიზებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდის ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, ნიმუშები გაანალიზდა მოვლენის სხვადასხვა პარამეტრებში (EMC, SMC, CMAX, CMIN, CMOV), მოვლენების ჰიდროგრაფებითა და პოლუტოგრაფებით მასის მობილიზაციის გრაფიკებით.

ჩვენს გარემოსდაცვით ლაბორატორიაში ჩატარდა ძირითადი პარამეტრების ლაბორატორიული ანალიზები, გაანალიზდა ყველა დამაბინძურებელი: COD, COD დალექილი, საერთო N, საერთო P, TSS, SSV, TDS, DSV, TS, TSV, სიმღვრივე, გამტარობა და pH. უნივერსიტეტის ცენტრალურ ლაბორატორიებში ნიმუშები გაანალიზებულია მძიმე ლითონებზე (Cr, Cd, Cu, Hg, Ni, Pb, Zn) და ასევე ფრაქციების გრანულომეტრიული ანალიზი.


გრანულომეტრიული ანალიზი ჩატარდა ყველა ნიმუშისთვის, რათა გამოვლენილი ყოფილიყო მათი თავისებურება ზომის მიხედვით შეითავსოს მძიმე მეტალების სხვადასხვა კონცენტრაცია.

4.4 მიღებული მონაცემები

საველე სამუშაოები ჩატარებულია ესპანეთის ქალაქ ფენეს ავტოსტრადის წყალშემკრებ აუზზე. სულ გაანალიზებული იქნა 22 წვიმის მოვლენა, 2016 წლის 11 ნოემბრიდან 2017 წლის 27 დეკემბრამდე.


მოვლენების დროს მაქსიმალური წყლის ხარჯი გამოვლენილ იქნა მე-20 მოვლენის დროს 24.11.2017-ში და შეადგინა 40 ლ/წმ, რამაც გამოიწვია ხარჯის 14.02მ^3 მოცულობა და წვიმის მაქსიმალური ინტენსივობა 9.6 მმ/სთ.

კვლევების დროს გამოვლენილი ჰიდროლოგიური პარამეტრების საშუალო მაჩვენებლები შემდეგია, ხარჯი 1,67 ლ/წმ, მოცულობა 10.21მ³, ნალექების ინტენსივობა 6,82 მმ/სთ, წინა მშრალი დღეები 12 დღე.



ნახაზი 4. 5 - მოვლენა 20 რომლის დროსაც მაქსიმალური ხარჯი დაფიქსირდა.

შემდეგი ფიგურა გვიჩვენებს თითოეული მოვლენის მაქსიმალურ ხარჯებს, როგორც ჩანს საშუალო მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 10,08 ლ/წმ-ს.



ნახაზი 4. 6 - მოვლენების მაქსიმალური ხარჯები და გასაშუალოებულის ხაზი.


შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ნალექის შემდეგ პარამეტრებს (ჯამური, საშუალო ინტენსივობა, მაქსიმალური 5 წუთიანი ინტერვალში და წინა მშრალი დღეების რაოდენობა), ხარჯისათვის (მაქსიმალური, მინიმალური, საშუალო, ფარდობითობის კოეფიციენტი), ასევე მოცემულია სინჯების აღების დროს არსებული ხარჯები.

ცხრილი 4. 1 მოვლენების ჰიდროლოგიური პარამეტრები.


	თარიღი	წინა მშრალი დრე	ნალექების მაჩვენებლები				ჩამონადენი ხარჯების მაჩვენებლები				მოცულობა (მ ³)
			ჩამონადენი (მმ)	საშუალო ინტენსივობა (მმ/სთ)	საათობრივი მაქსიმალური ინტენსივობა (მმ/სთ)	5 წუთიანი ინტენსივობა	მინ (ღმინ) ლ/წმ	მაქს (ღმქს) ლ/წმ	საშუალო (ღსაშ) ლ/წმ	კოეფიციენტი (ღმქს/ღსაშ)	მოცულობა (მ ³)
მოვლენა 1	2016.11.17	15 ^ა 10 ^ა 45 ^მ	3,00	2,50	4,80	0,40	0,02	1,94	0,79	2,45	3,31
მოვლენა 2	2016.11.19	1 ^ა 16 ^ა 11 ^მ	3,00	3,21	4,8	0,40	0,02	0,85	0,60	1,41	1,54
მოვლენა 3	2016.11.20	0 ^ა 13 ^ა 15 ^მ	17,60	8,73	4,80	0,40	0,05	26,03	4,36	5,96	54,98
მოვლენა 4	2017.01.27	8 ^ა 3 ^ა 6 ^მ	4,60	3,07	16,80	1,40	0,00	8,53	1,18	7,23	11,91
მოვლენა 5	2017.02.14	18 ^ა 2 ^ა 0 ^მ	5,00	2,22	2,40	0,20	0,00	6,37	0,85	7,47	16,73
მოვლენა 6	2017.02.27	12 ^ა 11 ^ა 28 ^მ	5,40	7,36	14,40	1,20	0,00	5,66	0,91	6,23	6,34
მოვლენა 7	2017.02.27	0 ^ა 9 ^ა 4 ^მ	2,20	11,00	7,20	0,60	0,01	12,78	1,12	11,46	4,16
მოვლენა 8	2017.02.28	0 ^ა 9 ^ა 36 ^მ	9,60	3,24	4,80	0,40	0,00	9,30	1,18	7,86	9,31
მოვლენა 9	2017.03.12	12 ^ა 19 ^ა 5 ^მ	4,40	4,19	4,80	0,40	0,00	5,84	0,65	8,91	5,81
მოვლენა 10	2017.03.12	0 ^ა 9 ^ა 21 ^მ	3,20	3,56	12,00	1,00	0,00	4,84	0,63	7,62	5,00
მოვლენა 11	2017.03.31	18 ^ა 18 ^ა 56 ^მ	5,60	12,44	7,20	0,60	0,00	18,56	1,58	11,75	11,88
მოვლენა 12	2017.05.09	8 ^ა 1 ^ა 20 ^მ	2,00	24,00	9,60	0,80	0,00	3,77	0,67	5,66	0,85
მოვლენა 13	2017.09.03	6 ^ა 10 ^ა 49 ^მ	1,40	4,67	2,40	0,20	0,06	4,07	1,44	2,82	2,51
მოვლენა 14	2017.09.14	10 ^ა 5 ^ა 39 ^მ	7,20	5,08	14,40	1,20	0,00	28,30	1,62	17,44	19,73
მოვლენა 15	2017.10.17	1 ^ა 22 ^ა 0 ^მ	2,80	5,60	2,40	0,20	0,02	4,07	1,10	3,71	3,30
მოვლენა 16	2017.11.02	15 ^ა 23 ^ა 52 ^მ	5,00	7,89	4,80	0,40	0,15	7,59	1,95	3,90	5,44
მოვლენა 17	2017.11.02	0 ^ა 5 ^ა 31 ^მ	9,00	6,07	4,80	0,40	0,00	8,29	1,76	4,70	13,75
მოვლენა 18	2017.11.24	20 ^ა 7 ^ა 7 ^მ	2,00	15,00	7,20	0,60	0,27	11,45	2,33	4,92	3,31
მოვლენა 19	2017.11.24	1 ^ა 21 ^ა 5 ^მ	3,40	4,08	2,40	0,20	0,00	12,05	3,35	3,60	19,54
მოვლენა 20	2017.11.24	4 ^ა 11 ^ა 55 ^მ	1,60	9,60	4,80	0,40	0,01	40,65	3,16	12,85	14,02
მოვლენა 21	2017.12.25	25 ^ა 22 ^ა 22 ^მ	4,60	4,12	2,40	0,20	0,20	14,47	4,67	3,10	9,88
მოვლენა 22	2017.12.27	2 ^ა 1 ^ა 0 ^მ	3,00	2,34	4,80	0,40	0,01	2,25	0,94	2,40	1,41

ცხრილში საყურადღებოა მოვლენის მაქსიმალური ხარჯებისა და საშუალო ხარჯების ფარდობა, რაც მოვლენის ჰიდროგრაფის მიმართულების მაჩვენებელია.


მომდევნო ფიგურებში მოყვანილია ფენეს წყალშემკრები აუზის მონიტორინგის მონაცემები, კერძოდ, ჰიდროგრაფი (ხარჯი), ჰიეტოგრაფი (ატმოსფერული ნალექები), აკუმულირებული ატმოსფერული ნალექები, სინჯების ადების მომენტები, წინა მორბედი მშრალი დღეების რაოდენობა, ჯამური ატმოსფერული ნალექები, მაქსიმალური ხარჯი, წყლის ჯამური მოცულობა.




ნახაზი 4. 7 - მოვლენა 1.




ნახაზი 4. 13 მოვლენა 2.




ნახაზი 4. 8 - მოვლენა 3.




ნახაზი 4. 14 - მოვლენა 4.




ნახაზი 4. 9 - მოვლენა 5.




ნახაზი 4. 15 - 6.




ნახაზი 4. 10 - მოვლენა 7.




ნახაზი 4. 16 - მოვლენა 8.




ნახაზი 4. 11 - მოვლენა 9.




ნახაზი 4. 17 - მოვლენა 10.




ნახაზი 4. 12 - მოვლენა 11.




ნახაზი 4. 18 - მოვლენა 12.




ნახაზი 4. 19 - მოვლენა 13.




ნახაზი 4. 20 - მოვლენა 14.




ნახაზი 4. 21 - მოვლენა 15




ნახაზი 4. 22 - მოვლენა 16.




ნახაზი 4. 23 - მოვლენა 17.




ნახაზი 4. 24 - მოვლენა 18.




ნახაზი 4. 25 - მოვლენა 19.



ნახაზი 4. 26 - მოვლენა 20.



ნახაზი 4. 27 - მოვლენა 21.



მოვლენა 19	216,00	54,00	1,87	0,29	83,60	32,80	36	30	109,60	50,56	54,50	48,60	7,59
მოვლენა 20	191,00	46,00	3,40	0,39	200,88	53,07	76	44	258,88	81,07	183,00	107,30	7,72
მოვლენა 21	236,00	72,00	4,84	0,56	248,10	82,93	94	46	340,95	115,75	269,00	122,50	7,35
მოვლენა 22	343,00	122,00	11,90	1,84	437,32	144,37	152	48	589,32	192,37	238,50	221,00	7,81

მძიმე მეტალებისათვის აღსანიშნავია, რომ გამომდინარე რიგი მიზეზებისა, ზოგ შემთხვევაში დაირღვა სინჯების შენახვის მეთოდოლოგია და ყველა მოვლენისათვის არ მოხდა მათი ანალიზი.

ცხრილი 4. 3 - მძიმე მეტალების კონცენტრაციები მყარ ფაზაში.

მოვლენა	მძიმე მეტალები (სრული)						
